საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივანე (იოვანე) შავლიანი

ივანე (იოვანე) შავლიანი, აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფე დაახლ. 868-იდან, შავლიანთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი.

ტახტი ხელთ იგდო გიორგი I აღწეფელის ქვრივის მეშვეობით. მდგომარეობის განსამტკიცებლად თავის ძეს და მემკვიდრეს ადარნასეს ცოლად შერთო გვარამ (გუარამ) მამფლის ასული. ი. შ. და ადარნასე, წინა დინასტიის მეფეთა მსგავსად, განაგრძობდნენ ბრძოლას საქართველოში ჰეგემონობის მოპოვებისათვის.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: А н ч а б а д з е З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959.

ვ. გუჩუა